08:33 / 12-06-2010

https://www.ambebi.ge/article/21785-mastsavlebeltha-totaluri-gathavisufleba-itsyeba/

მასწავლებელთა ტოტალური გათავისუფლება იწყება

მასწავლებლებს, რომლებსაც დატვირთვა 18 საათი არა აქვთ, სამსახურიდან გათავისუფლება ელით. რეალურად კი ასეთ მასწავლებელთა რაოდენობა 50%-ზე დიდია. გათავისუფლების შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ჯერ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებს, შემდეგ კი სკოლის დირექტორებს ესაუბრა.
მინისტრის ეს გადაწყვეტილება "რეზონანსს" თავად მასწავლებლებმა აცნობეს. ისინი აღნიშნულის გამო შეშფოთებულები არიან, რადგან მათი დიდი ნაწილი პრაქტიკულად უმუშევარი დარჩება.
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების (სპმთპ) პრეზიდენტი მანანა ღურჭუმელიძე "რეზონანსთან" საუბრისას ამბობს, რომ ეს მასწავლებელთა პოლიტიკური ნიშნით დევნაა, რადგან დღეს რეალურად 18 საათი ხელისუფლების მეხოტბე მასწავლებლებს აქვთ მხოლოდ.

მანანა ღურჭუმელიძე: "მასწავლებლების რაოდენობა, რომლებსაც არ აქვთ 18 საათი, 50%-ზე მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით ამდენ მასწავლებელს სამსახურის გარეშე დატოვებენ. განათლების სამინისტროს თავდასხმა პროფკავშირებზე სწორედ იმას ემსახურებოდა, რომ მისი განზრახვა მასწავლებელთა რაოდენობის შემცირებაზე - უპრობლემოდ განახორციელოს. განსაკუთრებით დაზარალდებიან მასწავლებლები პოლიტიკური ნიშნით, რადგან საათების დიდი რაოდენობა მხოლოდ ადმინისტრაციასთან დაახლოებულ და ხელისუფლების ერთგულ მასწავლებლებს ჰქონდათ. პრაქტიკულად, ეს არის მასწავლებლის პოლიტიკური ნიშნით შერჩევა, რაც ჩვენთვის ისედაც მოსალოდნელი იყო.
რაც შეეხება შაშკინს, ძალიან რეაქციონერია და მისი დამოკიდებულება სკოლებთან მარტივი ფორმულით განისაზღვრება: 1 მანდატური უდრის 5 მასწავლებელს. მთელი მისი მეთოდოლოგია, განსაკუთრებით ის,

რაც მან განუცხადა მასწავლებლებს გუშინ, არის კომუნისტური იდეოლოგია, რაც მისგან ნამდვილად გასაკვირი არ არის. ძალიან კარგად მახსოვს, როცა 2004-5 წელს ვიღებდით კანონს ზოგადი განათლების შესახებ, რომლის მიხედვითაც სკოლის ავტოკრატიული მართვა უნდა შეცვლილიყო სასკოლო თვითმმართველობით. დღეს კი სასკოლო თვითმმართველობები მინისტრის თავდასხმის ობიექტი ხდება. რეალურად კი ამ კორპუსს არა თავდასხმა, არამედ დახმარება ესაჭიროებოდა. მაგრამ ყველაფერი, როგორც ხედავთ, მყისიერად იცვლება. სასაცილოა, თუ ამოვიღებთ არქივიდან საქართველოს პრეზიდენტის, ასევე განათლების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებებს, ისინი ამაყობდნენ სასკოლო რეფორმით. ამჯერად ჩვენი ბავშვები და მასწავლებლები ერთი ახირებული ადამიანის მსხვერპლნი ხდებიან, რომელსაც დღეს მინისტრის სტატუსი აქვს".

ღურჭუმალიძე ამბობს, რომ სპმთპ არ აპირებს ამ ყველაფერთან შეგუებას.

"ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში დავიცავთ როგორც მასწავლებლებს, ასევე 5 წლის ბავშვებს, რომელთა სკოლაში შეყვანის რეალური მიზეზი მხოლოდ ორი რამაა: 1 - პროგრამების არარსებობა 12-წლიანი სწავლებისთვის და მეორე - ბაღში ბავშვისთვის გამოყოფილი ვაუჩერი, რომელიც 4 ჯერ მეტია, ვიდრე სასკოლო ვაუჩერი. რაც შეეხება მასწავლებლებს, მიბაძონ ფეროს მუშებს, ორგანიზება გაუკეთონ აქციებს და გამოხატონ პროტესტი. ჩვენ უკან არ დავიხევთ. თუმცა ისე ვერ მოვიქცევით, როგორც სერტიფიცირების დროს, როცა დაიმალნენ მასწავლებლები. სწორედ ამიტომაც არის, რომ მინისტრმა გადაწყვიტა, ჩვენი ორგანიზაცია ფინანსურად გაეტეხა და, მიუხედავად კანონის ვალდებულებისა, საგანმანათლებლო რესურსცენტრებს მიუთითა, არ გადარიცხონ საწევროები. ამაზე მინისტრს პასუხისგება მოუწევს. მისი ქმედებისთვის საქართველოს ხელისუფლებას სერიოზული სანქციები ელოდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციიდან", - აცხადებს ღურჭუმელიძე.

პედაგოგთა პროფკავშირების ხელმძღვანელი სწორედ აღნიშნულ თემაზე (როგორც თავად ამბობს, სამინისტროს მიერ პროფკავშირებზე განხორციელებულ ზეწოლაზე) სასაჩივროდ ჟენევაში იმყოფება.

განათლების ლიგის პრეზიდენტი მანანა ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ 18 საათის მქონე მასწავლებელთა რაოდენობა არათუ 50-60%-ის, როგორც ამას სპმთპ-ის პრეზიდენტი ამბობს, არამედ 80%-ია.

მანანა ნიკოლაიშვილი: "შაშკინი, სანამ გუშინდელ ცვლილებებზე ისაუბრებდა, რესურს-ცენტრების ხელმძღვანელებს შეხვდა და დაავალა, რომ მასწავლებელთა ტოტალური შემცირება უნდა დაიწყოს. დამერწმუნეთ, 80 000-დან 10 000-15 000 მასწავლებელიც არ დარჩება, რადგან სრული განაკვეთი, ანუ 18 საათი, პრაქტიკულად არც ერთ მასწავლებელს არ აქვს.

რესურს-ცენტრების ხელმძღვანელების შემდეგ შაშკინი სკოლის დირექ-ტორებს შეხვდა. ეს შეხვედრა სამინისტროში გაიმართა. გუშინ კი თათბი-რი კერძო სკოლის დირექტორებს ჩაუტარა. მანამდე შაშკინი აქტიურად დადიოდა რეგიონებში მასწავლებლებთან შესახვედრად. სწორედ აქ-დან ჩანს მათი "ზნეობა" და "მორალი": მასწავლებლებს ხვდებიან და მერე პრაქტიკულად ყველას მიერეკებიან სამსახურიდან. ანუ ნაციონა-ლები საარჩევნო კამპანიას აწარმოებდნენ მასწავლებლებთან და ამ გათა-ვისუფლებების შესახებ არ ეუბნებოდნენ. როგორც კი დამთავრდა არ-ჩევნები, მაშინვე გამოაჩინეს თავიანთი ზრახვები.

მასწავლებელთა ტოტალური გათავისუფლება რომ დაიწყება, ეს სწორე-დაც რომ რეალობაა, რადგან დირექტორებმა უკვე დაიწყეს ამის თაობა-ზე თათბირების ჩატარება. გაითვალისწინეთ, რომ მასწავლებელთა საა-თები 2004 წელს თვითონ სამინისტრომ შეამცირა და ახლა იმის გამო, რომ ცოტა განაკვეთი აქვთ, უნდა გაათავისუფლონ სამსახურიდან. პრაქ-ტიკულად ყველა საგანში, გარდა ქართულისა და მათემატიკისა, მცირე-საათიანი მასწავლებელი დარჩა".

ნიკოლაიშვილისვე განცხადებით, სამინისტრო დარჩენილ ვაკანტურ ად-გილებზე ახალგაზრდა კადრებს მიიღებს.

"რაში სჭირდებათ მასწავლებლების გაშვება? "კმარას" გოგო-ბიჭები რომ შეყარონ გაკვეთილებზე. სამინისტროს "წესით", მათთვის არასასურვე-ლი მასწავლებლები სერტიფიცირებაზე უნდა დაეფერთხათ, მაგრამ ამა-საც არ მოუცადეს", - აცხადებს განათლების ლიგის პრეზიდენტი "რეზო-ნანსთან" საუბრისას.

რატომ ათავისუფლებს შაშკინი მასწავლებლებს მაშინ, როცა უკვე მასწავ-ლებელთა სერტიფიცირება კარს მოდგა? - ამის გარკვევას "რეზონანსი" გუშინ განათლებისა და მეცნირების სამინისტროს პრესსამსახურისგან მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა. თუმცა მათგან კომენტარის ჩა-წერა ამჯერადაც (!) ვერ მოხერხდა.

მარი ოთარაშვილი

[გაზეთი "რეზონანსი"]